**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 11 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 11

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. დ მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

დაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი **უპრემიოდ**: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა; უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის" **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათმდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ,, მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".


როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

# ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

# იჯარით აქვიდმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა უფასოდ** **ბკვარედით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარარე მხატვარი **ტარასი სიმონი მე მომცელამე.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**შაბათს**, 17 **იანვარს** 1904 წ.

წარმოდგენილი იქნება

**ვინძორსკია კუმუშკი**

ახალი ოპერა 6 სურ. 3 მოქმედ. მუს. ოტტო ნიკოლაესა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევისა, კარტავინისა, სელიუკ-როზნატოვსკისა; ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი, რჟანოვი, გრინევი; კლიუზნერი.

ცეკვას შესრულებს მთელი ბალეტი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოშვი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ.. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


## ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წევრთა, რომელთაც გადაიხადეს 1903 წლის განმავლობაში:

| №№ | სახელი და გვარი. | მ. | კ. |
|---|---|---|---|
| 299 | მღ. სიმონ წერეთელი. | 6 | — |
| 300 | ნიკოლოოზ გ. ხიმშიაშვილი. | 6 | — |
| 301 | სამსონ იოს. კანდელაკი | 6 | — |
| 302 | არქიმანდრიტი გიორგი | 12 | — |
| 303 | მიხეილ კოქლაძე | 6 | — |
| 304 | ერეკლე ბაქრაძე | 6 | — |
| 305 | კონსტანტინე იაშვილი | 6 | — |
| 306 | გიორგი თაზიშვილი | 6 | — |
| 307 | ვასილ მაჩაბელი | 6 | — |
| 308 | ქაიხოსრო ჯავახიშვილი | 6 | — |
| 309 | ლევან კაპანაძე | 6 | — |
| 310 | სპირიდონ გორდელაძე | 6 | — |
| 311 | თეიმურაზ გაბუნია | 6 | — |
| 312 | იაკობ ფხაკაძე | 6 | — |
| 313 | სიმონ ქეიშვილი | 6 | — |
| 314 | ლევან გ. ანდრონიკაშვილი | 6 | — |
| 315 | კონსტანტინე ქრ. ხუცაიძე | 6 | — |
| 316 | იაკობ გ. ვარდიაშვილი | 6 | — |
| 317 | ნიკო ქრ. ხუცაიძე | 6 | — |
| 318 | პეტრე ი. შათირიშვილი | 6 | — |
| 319 | 322 სხვა-და-სხვა წევრისაგან | 24 | — |
| | | 150 | — |
| | სულ 1903 წელს | 3016 | 35 |


გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

# ექიმი

# ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 46.

# პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


# ტფილისი

კუშინწინ, წმ. ნინოს დღესასწაულს, სიონის ტაძარში წირვა და პარაკლისი შეასრულა მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ, ალავერდის ეპისკოპოსმა ევთიმემ, რომელმაც წმ. ნინოსადმი დიდი ასამაღლებელი ისე მკაფიოდ და გრძნობით წაიკითხა, რომ მლოცველებს სასოების ცრემლი მოჰგვარა. წირვის დროს იქადაგა სიონის დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ. როგორც წინა საღამოს მწუხრსა და ცისკარს, ისე წირვასაც აუარებელი მლოცველი დაესწრო. ტაძარში მოძრაობა აღარ იყო და დიდძალი ხალხი ეზოშიც იდგა. რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა და წმ. ნინოს ჯვარს ემთხვეოდა.

უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ სამის წლის განმავლობაში საზღვარ-გარეთიდგან უბაჟოდ შემოიტანოს სამეურნეო იარაღები.

14 იანვარს დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში გადახდილ იქმნა წლიური აქტი. ამ დღეს სასწავლებლის ეკლესიაში მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი ალექსი. აქტი დაიწყო ნაშუადღევის პირველ საათზედ. აქტს დაესწრნენ საქართველოს ექსარხოსი ალექსი, ტფილისის გუბერნატორი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სხვანი.

მომავალ სამშაბათს დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება არსებითად განიხილავს ამ დღეს ღვინის კანონის პროექტს.

აზრად აქვთ, ამ წლის მარტის პირველ რიცხვებში მოიწვიონ საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა.

სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებაზედ რომელიც მოსკოვშია დანიშნული თებერვალში, მიწვეულ არიან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი.

12 იანვარს ტფილისის კრუჟოკში სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საცეკვაო საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას იღებდნენ საოპერო დასის არტისტნი. შემოსავალი, როგორც გადმოგვცეს, 2000 მანეთამდეა.

შრომის მოყვარე საზოგადოებამ დაამთავრა აშენება საკუთარ სადგომისა. ახალს შენობას აკურთხებენ თებერვალში და კიდეც გადავლენ. ახალ საზოგადოებას ქირით უჭირავს სახლი.

12 იანვარს კრება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ყოველ კვირეულ ჟურნალის სარედაქციო კომისიას, რომელმაც გამოიანგარიშა, თუ ამ წელს რა მოუნდება ჟურნალის გამოცემას. სარედაქციო კომისიის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოების საბჭოს წარედგინა განსახილველად.

ტფილისელი ყასბები თავიანთ ნებაზედ ჰყიდიან ღორის ხორცს. ახალი ნიხრი ღორის ხორცზე არ დაუწესებია ქალაქის საბჭოს, არის მხოლოდ 1902 წ. 25 ნოემბერს გამოცემული სავალდებულო დადგენილება იმის შესახებ, თუ რა ფასად უნდა ჰყიდნენ ყასბები ღორის ხორცს, მაგრამ ამ დადგენილებით ისინი არ ხელმძღვანელობენ. ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა პოლიცმეისტერს, ყოველი ღონისძიებანი მიიღე, რომ ღორის ხორცი დაწესებულ ნიხრზე მეტ ფასად არ იყიდებოდეს.

ტფილისის სამკურნალო გამგეობამ გუბერნიის მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი გორის მაზრაში გაგზავნა. ბ-ნმა მაჭავარიანმა უნდა დაათვალიეროს, რა მდგომარეობაშია სოფლელთა შორის აცრის საქმე. როგორც მკითხველთ ვაუწყებდით, გორის მაზრაში ამას წინად ყვავილი გავრცელდა მცხოვრებთა შორის და ამიტომ გაგზავნილ იქმნა ორი ფერშალი მცხოვრებთა ასაცრელად.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზედ ექსპონატები 20 იანვარს უნდა გაგზავნოს. მიღებულია დიდ-ძალი ექსპონატები და კიდევ მისაღებია ბევრი.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, სიღნაღის გზა-ტკეცილზე ტელეგრაფის მავთულებს მწყემსები ძალიან ხშირად სწყვეტავენ და ამიტომ იღონეთ რამე ამის წინააღმდეგაო. თურმე დიდ-ძალი ფული იხარჯება გაწყვეტილ მავთულების გამოსაცვლელად.

ფუნიკულერის კეთება ტფილისში დღემდე შეჩერებული იყო სიცივეებისა გამო. ახლა ტფილისში ცოტათ დათბა და მუშაობა ისევ დაიწყეს.

22 თებერვალს დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის მოწაფეებად ნამყოფების საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა. კრება გინიხილავს მოხსენებას საზოგადოების გამგეობისას, აირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს და ორს წევრს და სარევიზიო კომისიას. ამავე დღეს კრება განიხილავს გამგეობის მოქმედების ანგარიშს 1903 წლისას და ხარჯთ-აღრიცხვას მიმდინარე წლისას.

ტფილისის ქუჩების მომკირწყვლელმა კომისიამ მსჯელობა იქონია თავისს უკანასკნელ კრებაზედ იმის შესახებ, თუ რომელ ამხანაგობისათვის მიეცა იჯარით შემოტანა ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად საპირო ქვისა. როგორც წინად ვწერდით, სამი ამხანაგობა სთხოვდა, მე მომეცით იჯარით ქვის შემოტანაო. კომისიამ ,,გიორგი"-ს ამხანაგობის პირობანი სცნო უფრო ხელ-საყრელად და კიდევაც მოილაპარაკა ,,გიორგი"-ს ამხანაგობის წარმომადგენელ ბ-ნ იასე რაჭველთან. «გიორგი»-ს ამხანაგობა ტფილისში ჩამოიტანს 1000 ცალს გათლილს ქვას 102 მ. 50 კაპ.

26 იანვარს ხუთი წელიწადი სრულდება ტფილისის საზოგადო განათლების კურსების დაარსებიდან. ამ დღის აღსანიშნავად გამართულ იქმნება ტფილისის კრუჟოკში საღამო. ეს კურსები წრეულს 12 იანვარს დაიწყო ვაჟთა მეორე გიმნაზიის სადგომში. სულ 40-ია მსმენელი. ჯერ-ჯერობით კიდევ მიდიან ჩასაწერად.

დუშეთის მაზრაში მცხოვრებთა შორის ყვავილი გაჩენილა. აქ ნელ-ნელ იკიდებს ფეხს აცრა ყვავილის წინააღმდეგ, მაგრამ ყვავილი დროგამოშვებით იჩენს თავს. სამკურნალო გამგეობამ მკურნალი გაგზავნა ყვავილის წინააღმდეგ ენერგიულ ღონისძიებათა მისაღებად.

ტფილისის მაზრის უფროსისაგან შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ნათესები ტფილისის მაზრაში კარგ მდგომარეობაში არის. დეკემბერსა და იანვარში დიდი ყინვები იყო, მაგრამ ნათესები

ამით არ გაფუჭებულა.

— ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ტფილისის საპოლიციო უბნების ბოქაულთ, თვალ-ყური ადევნეთ, რომ ქალაქის ქუჩებს თავისს დროზედ ასუფთავებდნენო. პოლიცმეისტერს რამდენიმე ქუჩა უნახავს უსუფთაოდ.

— 14 იანვარს დილით საგუბერნიო სამმართველოს საბეითალო განყოფილებაში ცეცხლი გაჩნდა, შინაურ ღონისძიებათა მიღებით ცეცხლი ჩქარა ჩააქრეს. ზარალი ცოტაა.

— ჩვენ შემოგვჩივიან: დიდი ხანია ქალაქის უთაობა გვესმის და რადა საჭიროა ერთი და იგივე ათასჯერ გავიმეოროთ. მოგეხსენებათ, ხორცის დუქნები დამართეს, ამოდენა ხარჯები გასწიეს, მოჯამაგირეებს ჯამაგირებს აძლევენ და ხორცი-კი არ მოეპოვებათ გასასყიდი. ვერის სასწორზედ თითქმის ყოველ დილითა გზავნით ბაჭს და ყოველთვის ცალ-ცარიელი ბრუნდება. დალოცვილებს ავი არაფრისა აქვთ, იჯარით მაინც მისცენ უფრო მცოდნესა და გამოცდილს, რომ ზამთარ-ზაფხულ ერთი ნიხრით აძლიონ ხალხს ხორცი და აიცილონ ამოდენა ხალხის საყვედური.

— არ გათეთრდება უორსნით, რომ იტყვიან ხოლმე, ზედ გამოჭრილია ჩვენებურ უსახელო საზოგადოების კონტუქტორ კუჩრებზედ. რაც გინდა ამხილეთ, რაც გინდა სწერეთ, მათ ადამიანური სამოსლით ვერ შეჰმოსავთ. უზრდელი ქცევა, დაბახანური სიტყვა პასუხი—აი მათი სამკაული. ამ ორ-სამის დღის წინად ერთს კუჩერს (გვარად მეტრეველს) შენიშვნა მისცეს, რომ გადასასვლელ ვაგონს ნახევარ ვერსით ჩამოშორდა თავისი ვაგონი. აი ამისა გამო მოხსნა პირი და ისეთის სიტყვებით დაიწყო ლანძღვა—გინება, რომ ყველანი განცვიფრებულნი დავრჩით. უჩივლეს იქავე თავის უფროსთან (საბანაძესთან) და რა გამოვა, არ ვიცით, ხოლო ის კი ვიცით, რომ თუ დაუსჯელად დასტოვეს, მერე უარესს იზამენ ესეთი უზრდელები და ეს კი კარგი არ იქნება თვით საზოგადოების სახელისათვის.

— ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ გულშემატკივარი ყურადღება ერთს ქართველ ოჯახს, რომელიც უმწეო და უკიდურეს მდგომარეობაშია. ნემეცების ქუჩაზე, № 9, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ, სცხოვრობს მარიამ ლეგვიძე, რომლის ქმარი ამ ჟამად რკინის გზის საავადმყოფოშია ბაქოში (მატარებელმა ფეხი მოამტვრია), ქმრის პატარა შვილით, ამ დედაკაცს არ მოექებნება უკანასკნელი მშრალი პური, რომ ბალღები დააჩუმოს და თვით მძიმე ავადმყოფმა ცოტა მოისვენოს. ტანთსაცმელი არა აქვთ და შეშა ხომ სულ არ გაუჩნიათ. იმედია კეთილი ხალხი შეეწევა და წვლილს არ დაიშურებს. შეწირულება შეიძლება გამოგზავნონ „ივერიის" რედაქციაში ანუ თვით საბრალოების სადგომში მიიტანონ. საბრალო ოჯახს სიღარიბის მოწმობაც აქვს ტფილისის გუბერნატორისაგან. ვთხოვთ სხვა გაზეთების რედაქციებს ეს შენიშვნა გადაბეჭდონ.

## ჩვენებური ამბები

**რიონ-ბალმის კუთხე.** შობის წინა დღით ჩვენსკენ სამ ჩარექზედ მეტი თოვლი დასდო; შემდეგ მოჰყვა ისეთი ძლიერი ყინვები, რომ ტერმომეტრი სახლებში აჩვენებდა ნულს ზევით სამ გრადუსს და გარედ-კი ნულს ქვემოდ შვიდ-რვა გრადუსზედ ჩამოდიოდა. 24 დეკემბერს აუარებელი ხალხი ჩამოვიდა დაბა სამტრედიაში, სხვა-და-სხვა სოფლებში საშობაოდ მიმავალი.

დილიჟნები ვეღარ ასდიოდა მუშტართა წაყვან-წამოყვანას. ამასობაში მეეტლეებმა იდროვეს და დაისვეს ღარი: დაინახეს რომ დილიჟნებში ტევა აღარ იყო, აუწიეს ფასი და ფაიტონით წაყვანა ერთი ოთხად გააძვირეს, ასე რომ ერთი კვირის წინად ორ მანეთს რომ სჯერდებოდნენ, ეხლა რვა მანეთს ფეხს არ უცვლიან. ამ გვარ შემთხვევაში ისინი დასტატებულნი არიან: დილიჟნებს გარშემო უვლიან, უთვალთვალებენ, აბა ვინ რჩება უადგილოდაო, და თუ ნახეს გაჭირვებული ვინმე, სცდილობენ ერთი ოთხად გააძრონ ტყავი.

ქუთაისის მაზრის უფროსის მიერ თუმცა დადგენილია მათთვის ნიხრი, რომელიც დაამტკიცა საგუბერნიო მართველობამ, მაგრამ ამას ვინ უყურებს?! მეეტლეები მაინც თავისას არ იშლიან.

შობის მეორე დღიდგან გზები შეიკრა ყინვების გამო და სამტრედიიდგან დილიჟნების მიმოსვლა შეწყვეტილ იყო ამ იანვრის ხუთამდე; დღეს-კი ცოტად გზებიც გატყდა და დილიჟნებმაც გაბედეს მიმოსვლა. ხალხი მეტად შეაწუხა ჯერ სიცივემ და მერმე უგზოობამ. გზები ამ საზამთროდ ჩვენსკენ უყურადღებოდ დარჩა და ისეთი ორმოები გაკეთდა, რომ დილიჟნებით მოგზაურობა საშიში შეიქმნა. უგზო-უხიდობით უფრო მეტად საბრალო მოსწავლეები არიან გაჭირვებულნი: ისინი მუხლებამდე ამოსვრილი მიდიან სასწავლებელში.

ახალი მოხელეების არჩევა ჩვენს სოფლებში დანიშნულია 12 იანვრიდან. ბევრგან ისევ ძველებს უნდათ დადგომა და აგენტებიც გაიჩინეს სოფლებში; ახალი მსურველებიც ბლომად არიან, ამ გვარად საზოგადოება ეხლავე სამ-ოთხ დასად არის გაყოფილი და თვითეულ დასს თავისი მოწინავე ჰყავს. ვნახოთ, რას დაადგენენ საზოგადოებათა კრებები.

ვლადო ბზვანელი

**დიღომი** (ტფილისის მაზრა). ხუთ იანვარს ღამით ერთ საწყალ გლეხს ეწვივნენ ორფეხა მელიები ინდოურების მოსაპარავად, მაგრამ მალე შეუტყეს. პატრონი ძაღლის ხმაზედ გარედ გამოვიდა და დაინახა, რომ საქათმეს ორფეხა მელა ეპარებოდა, ეცა და დაიჭირა, მაგრამ თავისდა საუბედუროდ. ქურდმა არც აცივა და არც აცხელა, აიღო და თავში დასჭრა ხანჯლით. დაჭრილმა ყვირილი მორთო: „მიშველეთ, მომკლესო". მინამ მიეშველებოდნენ, ქურდი თავის ამხანაგებით გაიქცა. დარჩა საწყალი დაჭრილი გლეხი გულშემოყრილი. ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ იმის მორჩენა საეჭვოა. უბედურობა ისაა, რომ კაცს მპარავდე და კიდეც მკლავდე, თორემ მარტო მოპარვას ვილა იჩივლებს, ისიც ინდაურებისას. საწყალს რომ აუტყდეს რამე, იმისი ცოლშვილი ულუკმაპუროდ დარჩება.

როგორც გავიგეთ, ორი მათგანი კიდეც დაუჭერიათ. კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ამისთანა ქურდ-ბაცაცებს, რომელნიც სოფელს მოსვენებას არ აძლევენ და ისედაც გაბეჩავებულს თავის მოძმე გლეხს წუთისოფელს არ ასალმებდნენ, სხვისდა ასალაგმავად, რიგიანად დაისაჯონ, თორემ, შენი მტერი, მკითხველო, თითო ინდაური თუ ქათამი კარგად ძვირად დაუჯდება პატრონსა.

გულ-შემატკივარ.

**სურამი.** ნათქვამია: მზხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო. ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია სურამის საკვირაო სკოლის დამაარსებლებზე, რომლებსაც ჯერ საქმე არ დაეწყოთ და გაზეთებში ყვირილით-კი ყველას ყურები გამოუჭედეს: „აი, რა ბიჭები ვართ, საკვირაო სკოლას ვაარსებთო"! მართალია, პაპასი კი ჰქონდათ ამის შესახებ და წინამძღოლობაც ამ საქმეში მღ. იოსებ ბებიაშვილისთვის ეთხოვნათ, რომელიც სიამოვნებით დათანხმებოდა კრების წინადადებას, მაგრამ, მას შემდეგ, ორმა წელმა განვლო და სურამში საკვირაო სკოლის ხსენებაც არ არის. საკვირველია, თუ საკვირაო სკოლის სარგებლობა საჭიროდ სცნეს სურამის მცხოვრებთათვის, რა მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ დიად საქმის დაუმთავრებლობა! თუ მარტო ლაპარაკში ხედვენ თავიანთ იდეების განხორციელებას, მაგისი რა მოგახსენოთ, თუ არა და მაშ ვინ უნდა იყოს მოღალატე ამ საქმისა? წინამძღოლად ამორჩეული მამა იოსებ ბებიაშვილი, თუ მისი ამომრჩევნი? ჩემის აზრით, დამნაშავენი არიან ის ამომრჩეველნი, რომლებსაც ეგონათ მარტო მამა იოსები გაუძღვება ამ საქმეს და სრულებით საჭირო აღარა ვართ, ჩვენი საქმე მხოლოდ თქმა იყო, რაც უკვე შევასრულეთო. დალოცვილნო! რად გეგონათ, რომ მარტო მამა იოსებს უნდა ეზრუნა საკვირაო სკოლის ყველა საჭიროებაზე და მის საკეთილ-დღეოდ; რატომ არ წარმოიდგინეთ, რომ მამა იოსებმა, თუ იკისრა წინამძღოლობა მომავალ საკვირაო სკოლისა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენგანაც ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას ელოდა?! რადგან თქვენ განზე გასდექით და იქიდგან გულ გრილად დაიწყეთ მზერა, მამა იოსებმაც ზურგი აუქცია და აღარ მოიწადინა ამ საქმის განხორციელება. განსაცვიფრებელია ამ ფრიად სასარგებლო საქმის დავიწყება, მაგრამ ან-კი საიდგან უნდა მოაგონდეთ, როდესაც ზაფხულში საგარაკოდ მოსულ ქალების თავგზიანობასა და არშიყობაში არიან გართულნი. ზამთარში-კი ადგილობრივ ქალებისა, რომლებიც მდიდრობის ნიშნად რიგ-რიგად უმართავენ თავიანთ გამრთობლებს წვეულებას, სადაც ტკბილ-ალერსიანი სიმღერებით გიტარის აკომპანიმენტით ართობენ ერთმანეთს, მაგრამ ამ ნაირმა წვეულობამა სიყვარულის და მეგობრობის მაგიერად, არა ერთხელ გამოიწვია ისეთი უსიამოვნება რომელიც ხშირად სასამართლომდე აწვევს. ამიტომ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ამნაირი შემთხვევა, რომელიც ამ ცოტა ხანში მოხდა.

ერთ მშვენიერ საღამოს ჩვენი ახალგაზრდა ლხინიკოები მიწვეული ბრძანდებოდნენ ახალგაზრდა ქალთან, რომელიც თავის სახელწოდების დღეს იხდიდა; მალე ყველამ მოიყარა თავი წვეულებაზე და გაიმართა ერთმანეთის შემამკობელი სიმღერები და გიტარის დაკვრა.

ვახშამზედაც დასხდნენ და სადღეგრძელოები ზედი-ზედ მიაყოლეს. ამ დროს ერთმა ლხინიკომ გიტარაზე ტკბილი არშიყული სიმღერებით შეამკო თავის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ქალი, რომლის ქმარსაც მოუვიდა გული და ჩვენს მოარშიყეს ესროლა ღვინით სავსე ბოთლი. ბოთლი მოსიმღერე ლხინიკოს ასცდა და მოხვდა მათ გამამხიარულებელ მასპინძელ ქალს თავში და იქვე გადაბრუნდა გულ-შეწუხებული და თავ გასისხლიანებული; მანამ პატრონები მას მოაბრუნებდნენ და გრძნობაზე მოიყვანდნენ, მანამ ჩვენმა ლხინიკოებმა თავს უშველეს და გულამოძუებულები სახლისაკენ გაუშურენ. როგორც გავიგეთ, ეს საქმე ამ ჟამად სასამართლოში სწარმოებს.

ამნაირ ყოფა-ცხოვრებაში გართულ ახალგაზრდობას რადა ოქვენი საკვირაო სკოლისა სცხელა!!

ვისურვებ, რომ ჩვენ ახალგაზრდობას დაენებებინოს თავი ამნაირ ყოფა ცხოვრებისათვის და საზოგადო საქმისთვის შეეწირნათ დრო და ძალ-ღონე. სასურველი იქნებოდა აგრეთვე, რომ მამა იოსებმაც სერიოზულად მოჰკიდოს ხელი საკვირაო სკოლის დაარსებას. თუ მათ ეს არა სურთ გადაწყვეტილი პასუხი გვამცნონ გაზეთის საშუალებით.

გ. ძამელი.

## რუსეთი

კიევის გუბერნიის დაბა ილინეცის ახლო ქრისტეს შობის პირველ დღეს სამი გაყინული ბავშვი იპოვეს. გამოძიებამ შემდეგი აღმოაჩინა: სამთავე ბავშვი მათს ღვიძლს მამას დაუტოვებია მინდორში. მამა, შვილთა მკვლელი, დაქვრივებულა და შემდეგ ვიღაც ახალგაზდა ქალი შეუყვარებია. თუმცა ქალი დაჰპირებია ცოლად გამოჰყვებოდა და ქორწილსაც აპირობდნენ, მაგრამ ქალი მაინც ყოყმანობდა. ბოლოს როგორც იყო, კაცს გამოუტეხნია ქალი, რისთვის აგვიანებდა ქორწილს და უთქმევინებია, სამის შვილის მამას ვერ მოგთხოვდებიო. მხეც მამას გადაუწყვეტია თავის შვილების დახოცვა, შობა ღამეს საშინელ ყინვაში მინდორში წაუყვანია და იქ მიუტოვებია. შობა დღეს ხალხი წირვაზედ რომ მიდიოდა, რაღაც შეუნიშნავთ თოვლში, გადუღიათ თოვლი და სამი ბავშვიკი უნახავთ ერთიერთმანეთზედ მიყინული. ორისა და ოთხის წლის ბავშვებისათვის ექვსის წლის ძმას თავისი თბილი ტანისამოსი წაეფარებინა, თითონ-კი პერანგის ამარა ეგდო... მხეცი მამა, რაღა თქმა უნდა, დაპატიმრებულია.

## უცხოეთი

**იაპონია.** იაპონიის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა იაპონიის ცენზურას სთხოვეს, ნუ დაგვიშლი გამოვაქვეყნოთ იაპონიის ჯარის შეიარაღებისა და გადაყვან-გადმოყვანის ამბავიო. იაპონიის ცენზურამ უარი განუცხადა, ხოლო აცნობა, რუსეთ-იაპონიის უთანხმოება ამ დღეებში მშვიდობიანად დამთავრდება და მაშინ კვლავად შეგიძლიანთ ჰბეჭდოთ ყოველნაირი ცნობებიო.

**იტალია.** რომის პაპმა საჭიროდ დაინახა მოუსპოს სუბსიდია იმ გაზეთებს, რომლებიც ვატიკანის ინსტრუქციას არ ასრულებენ.

მართებლობის მომხრე გაზეთი La Capitale სწერს: [illegible] შიშა, რომ რუსეთისა და იაპონიის ომში სხვა სახელმწიფოებიც ჩაერევიანო, საქმის მიმდინარეობა გვარწმუნებს, რომ საერთო მშვიდობიანობა და ძმობა და კაცთა შორის სათნოება მხოლოდ ოცნებააო. უთანხმოების მიზეზი მცირე გარემოება არ არის; რადგან რუსეთი მართალია, მანჯურიას რომ არ სტო

## ფელეტონი

**ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა საზოგადოდ სახალხო სიმღერებისა და სახელოვნო-საპოლიტიკო მოღვაწეობა დ. ა. სლავიანსკისა.**

(შემდეგი *)

იმ დროს, როდესაც ასეთის აღტაცებით ეგებებოდნენ სამხრეთის სლავიანები სლავიანსკის სახალხო კონცერტებს, პეტერბურგში თაყვანსსა სცემდნენ პოლიტიკურ რომანსებს და უწმაწურობით სავსე კუპლეტებს, უბრალო, გულის სიღრმიდგან ამოხეთქილი ხალხური სიმღერები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა მაშინდელ რუსეთის უმაღლეს საზოგადოებას. მოსკოვში ისე უმეხად, ისე გულგრილად მიეგებნენ სლავიანსკის პირველ კონცერტს, რომ საზოგადოების ამ გულგრილობით გულ-მოკლულმა რუსეთის პირისუფალთ პირდაპირ საყვედურით მიჰმართეს მაშინდელ საზოგადოებას. „მოსკოვო, მოსკოვო, ნეტა როდის გაიხსენებ, რომ შენ სლავიანთა ქალაქი ხარო!"—სწერდა «Современныя извѣстія»-ს თანამშრომელი, ხოლო გაზ. «გოლოსის» მეორე თანამშრომელი გულის წყრომით უმატებდა: «უბედურება ის არის, რომ შეაგულ რუსეთში უფრო ნაკლები სლავიანია სულით და გულით, ვიდრე რუსეთის განაპირა ადგილებში». ამას რომ ვწერ ძალა-უნებურად მაგონდება 1887 წელში დაარსებულ ქართულის ხოროს ბედი. ეს ხორო დადიოდა საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებში და კონცერტებს მართავდა, მაგრამ ბევრმა იგი გულ-გრილად მიიღო და ტუჩ აკვრით მიეგება. მართალია, როდესაც ლ. ა. აღნიაშვილის ხორო გორში მოვიდა კონცერტის გასამართავად, გორის ახლო-მახლო სოფლებიდგან თითქმის მთელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, მაგრამ, მოისმინეს თუ არა რამდენიმე სიმღერა, როდესაც ჯერ ერთი განყოფილებაც არ გათავებულიყო, ერთი კნეინა გაწიწმატებული წამოვარდა და თავის მეზობელს მიჰმართა: კაცო, აქ სად მომიყვანე, მე მეგონა, სხვა კარგ რამეს მოვისმენდი, თორე ოტროველების სიმღერებით იქაც, სოფლად, ყურები მაქვს გამოჭედილიო. ამ სიტყვებით კნეინა გაჯავრებული გარედ გამოვიდა... მას უკან მიჰყვნენ სხვებიც... ამბობენ შემდეგში შეარცხვინეს ეს კნეინაო, მაგრამ რალა იქნებოდა. ან-კი განა მარტო ეს კნეინაა უვიცი ქართულ სიმღერების საქმეში. უვიცნი არიან ბევრი სხვებიც—ინტელიგენტებად წოდებულნი—და კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი სახალხო სიმღერების სიმშვენიერე ჩვენის საზოგადოებისათვის მიუწდომელია და აქამომდე უკმაყოფილებასაც იწვევს სახალხო კონცერტები. ან კი როგორ მიხვდება „განცხრომის ძე", ფუფუნებასა და ნებიერობაში მყოფი მაღალის წრის ადამიანი იმ ნეტარებას, იმ მდაბიურსა, მაგრამ სიტკბოებით სავსე ხალხურ ხმებს, რომელიც შემქნილი არის საუკუნოებით დამონავებულის და ქედ-წახრილის ხალხისაგან...

ჩვენს, ეგრედ წოდებულ უმაღლესს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, ვერც-კი წარმოუდგენია დიდებულ შენობებში სახალხო კონცერტების გამართვა!

ქართულ სიმღერების ბედ-იღბალზედ არც ჩვენს მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებს ამოუღიათ ხმა, თუ არ ჩავსთვლით, რასაკვირველია, იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ შენიშვნებს, რომლებიც ათასში ერთხელ იბეჭდებოდა ხოლმე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ბ-ნ აღნიაშვილის ცდა კი უნდა ჩაითვალოს ბედნიერ მოვლენად ყოველის მხრივ: უწინარეს ყოვლისა მან მოგვაგონა ყველასაგან დავიწყებული ის ჭეშმარიტება, რომ სახალხო სიმღერები ქართველთათვისაც, როგორადაც სხვა განათლებულ ხალხისათვის, შეადგენს ისეთსავე პატივსაცემ და საზრუნავს საგანს, როგორც ნაწარმოებნი კლასიკურ მუსიკისა. დასავლეთში სახალხო სიმღერებს პატივს სცემენ, ეთაყვანებიან და ინახავენ ხალხის თვითცნობიერების გასაღვიძებლად, რადგან კარგად ესმით, რომ სახალხო სიმღერები იმდენადვე ცოცხლად და სწორად გადმოგვცემს ხალხის სულს და ხასიათს, როგორც ხალხის ის მოქმედებანი, რომელნიც აღბეჭდილია ხალხთა ისტორიაში. ყოველივე საკონცერტო შესრულება სახალხო სიმღერებისა არის ცდა—გადმოგვცეს ხალხის სულიერი ჰარმონია და ამიტომ იგი ყურადღების ღირსია, როგორც, პირველი ნაბიჯი ამ გზაზედ; ამიტომ უარყოფა სახალხო სიმღერათა ამღზრდელ მნიშვნელობისა იმდენადვე შეცდომაა, როგორადაც უარყოფა სიყვარულისა, რომელიც არის გამასპეტაკებელი კაცის გრძნობათა, ამამაღლებელი სულისა და ამავსები კაცის გულისა სინათლითა და სიხარულითა. ამას გარდა, სიყვარული სახალხო სიმღერებისადმი უნდა იყოს ნიშნობლივი თვისება ყოველ განათლებულ საზოგადოებისა.

ბ-ნ აღნიაშვილის ხორო აცნობდა მსმენელთ გურულ, მეგრულ, ან იმერულ სიმღერებს და გადაჰყავდა ისინი იმ სამეფოში, სადაც ესმოდათ მახლობელი, მონათესავე ხმა. ქართულს სიმღერებს: სახელდობრ გურულს, მეგრულს და იმერულს აქვს განსაკუთრებული თვისებანი, როგორათაც თვით ამ ძმათა—ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ამიტომ საჭიროა მათი შედარება, ერთმანეთთან დაახლოვება; თვითეული მათგანი გამომხატველია იმ ხალხის სულისა და ხასიათისა, რომლის შორისაც შეიქმნა იგი, მაგრამ ამასთანავე იგი თანვე ატარებს ბეჭედს, რომელიც საყოველთაო თვისებაა მთელის ქართველ ერისა. ქართველთა და მეგრელთა სიმღერებში ისმის ერთგვარი რამ, რომელიც შეადგენს უმთავრესს ელემენტს მათის დიდიხნის სულიერ კავშირისას. მაშასადამე, გურულსა და მეგრულ სიმღერებსაც ისეთივე დიადი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოდ ქართულის მუსიკისათვის, რამდენადაც ქართველთა სიმღერებს და პირიქით ამიტომ აგრე რიგად არ არის საშიში ზოგიერთი უკუღმართი გარემოებანი და ცდა ზოგიერთებისა რომელნიც მეგრელთ და გურულთ ცალკე ანბანს უდგენენ და უნდათ სულ სხვა ენაზედ აალაპარაკონ ეს ღვიძლი შვილნი ქართველთა ერისა. მათი მეცადინეობა ვერ დააცალკავებს იმათ, ვერ დაანგრევს მას, რიც ჟამთა ვითარებამ ააშენა და ისეთი საძირკველი ჩაყარა, რომელსაც არ შეედრება კაცის ხელთა ქმნილება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მეგრელნი და გურულნი რაიმე მანქანებით კიდეც რომ აალაპარაკონ არა ქართულ ენაზედ, ისინი მაინც ვერ იმღერებენ უცხო მოტივებს... თუ ილაპარაკებენ არა ქართულს ენაზედ, იმღერებენ მაინც ქართულს ჰანგებს, რადგანაც ეს ჰანგები არა თუ მარტო ხალხის ამოთქმაა, არამედ ის ჰიმნიც არის, რომლითაც ადიდებენ, თავის ღმერთს, სიცოცხლის მომცემს თავის სამშობლოს, რომლის სიმშვენიერე მისთვის ისევე იზრდებოდა დღითი დღე, როგორც მისი სიყრმე-სიჭაბუკე მის მშობლის წინაშე.

ეს თუმცა ასეა, მაგრამ წინად და ახლაც სახალხო სიმღერებს ჰყავდათ ისეთი მოწინააღმდეგენი, რომელნიც არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ამას დავუმატებთ, რომ მოწინააღმდეგე პირთა შორის ბევრი მოწინავე პირნი იყვნენ.

კერძოდ სახალხო სიმღერა, რომლის გამავრცელებლადაც სლავიანსკი გამოვიდა, თანდათან ივლიდა სწორე გზას, ასე, რომ თვით არა სლავიანური ქალაქი პეტერბურგიც-კი იძულებული იყო მუხლი მოეყარა სახალხო სიმღერათა ძლევა მოსილების წინაშე. აქვე საჭიროა დავუმატოთ, რომ ზოგიერთი პირნი, რომელთაც დიდი თანამდებობანი ეჭირათ, თავიანთის თანაგრძნობით დიდს სამსახურს უწევდნენ სლავიანსკის. მაგალითად დიდი მთავრინა ელენე პავლეს ასული სასახლეში მიიწვევდა ხოლმე სლავიანსკის სახალხო სიმღერების სათქმელად, თანადასწრებით იმპერატორ ალექსანდრე მეორისა.

იმ დროსთვის ეს იყო ფრიად მრავალმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობდა სახალხო სიმღერათა და მის მოღვაწეთა სწორედ და ღირსეულად დაფასების იდეის დამკვიდრებას. მხოლოდ მის უმაღლესობის ამნაირ დახმარების წყალობით გამოვიდა სასახლეში თავისი ხოროთი სლავიანსკი 1868 წ. 10 აპრილს. სლავიანსკის წყალობით, სახალხო სიმღერამ თავისი დიადის ძალით გააღვიძა საზოგადოებაში აზრი მის პოლიტიკურ მნიშვნელობის და წავიდა დასამსხვრევად იმ ტრადიციებისა, რომელშიაც ეს საზოგადოება იყო აღზრდილი და ამ საზოგადოებას არა თუ არა სჯეროდა სახალხო სიმღერათა პოლიტიკურ იდეის არსებობა, პირიქით მის ცოცხალ აზრს სთვლიდა დასავლეთ-ევროპის მუსიკის შებღალვად.

იმ ღრმა რწმენით, რომ სახალხო სიმღერას დიადი ძალა აქვს, დ. ა. სლავიანსკიმ 1869 წელს რუსულ სიმღერებით განიზრახა წასვლა ცივილიზაციისა და პროგრესის ქვეყანაში—ამერიკაში. ამ აზრით ხსენებულ წელს, გაზაფხულს ხოროთი მიდის ნიუ-იორკში, საიდანაც შემდეგ შემოიარა მთელი ამერიკის შეერთებული შტატები; ამერიკაში ყოფნის დროს, სულ 175 საერო და სასულიერო კონცერტი გამართა. თუ რამდენად დიდი იყო ამერიკელთა აღტაცება რუსულ სიმღერათა

*) „ივერია", № 9.

კებს, ხოლო იაპონიაც ვერ დათანხმდება, რომ კორეა სხვა სახელმწიფოს ხელთ იყოს. მშვიდობიანად მხოლოდ მაშინ გათავდებოდა საქმე, ორთავე მხარეს ჭკავის სასამართლოსთვის რომ მიენდოთ უთანხმოების განხილვა. სამწუხაროდ, ასეთის სასამართლოს საჭიროებას მომავალი თაობა თუ შეიგნებს; ეხლა კი ძალა იმარჯვებს გონებასა და სიმართლეზედ.

**ჩინეთი**. ამერიკას, ავსტრალიასა და ჩინეთში მყოფნი ჩინელი სოვდაგრები შესდგომიან სავაჭრო კომპანიის დარსებას, რომელსაც «ჩინეთის სავაჭრო კომპანია» ეწოდება. უმთავრესი გამგეობა ამ კომპანიას კანტონში იქმნება, სადაც დიდ-ხნიან ბანკსაც დააარსებენ. კომპანია ჩინეთის საქონელს უპოვის ბაზარს უცხო სახელმწიფოებში და ევროპის ნაწარმოებს გაავრცელებს ჩინეთში. ამასთანავე სავაჭრო სასწავლებელსაც დაარსებს იმ გვარად, როგორც ევროპიელთ აქვთ დაარსებული. როგორც ეტყობა, კომპანიაში უცხოელებს არ გაურევენ, ხოლო შესაძლოა ამერიკელებისაგან-კი მიიღონ დახმარება და ხელმძღვანელობა.

**ინგლისი**. ამ 10—12 წლის წინად იაპონელ გრაფს იტოს, ბარონ კანეხოს შუამავლობით რჩევა უთხოვნია გერბერტ სპენსერისათვის, რა გზას უნდა ადგეს იაპონიის პოლიტიკაო. სპენსერს ვრცელი პასუხი გაუგზავნია, ხოლო სურვილი განუცხადებია, რომ ეს პასუხი არ გამოქვეყნდეს, ვიდრე ის ცოცხალია. ეხლა ეს პასუხი დაიბეჭდა times-ში და დიდი ყურადღება მიიპყრო, რადგან აწინდელ მდგომარეობასაც შეეხება. ფილოსოფოსი ურჩევს იაპონიას, ნუ დაუახლოვდება ამერიკასა და ევროპას, ნურავითარ ხელსაყრელ უფლებას ნუ მიანიჭებ, მიწის მფლობელობა არ დაუთმო, მადნების შემუშავება არ მიანდო, ზღვაზე უპირატესობა არ დაუთმოო. სპენსერი უკრძალავს ცოლ-ქმრობას იაპონელთა და ევროპიელთა შორის, რადგან ამით იაპონელთა ტომი გაქარწყლდებაო. ერთის სიტყვით, ურჩევს არც სამტროდ და არც სამოყვროდ ევროპიელთან არავითარი კავშირი იქონიოთო.

# ნარკვევი

გამოვიდა პირველი ნომერი ორის თვით შეჩერებულის „ნოვოე ობოზრენიე“-სი. ორი თვე სრულიად საკმარისია ყოველდღიურ გაზეთისათვის, რომ ცოტა შეისვენოს, სული მოიბრუნოს, წარსულს თვალი გადაავლოს, თვისი ღვაწლი და დანაშაული გაითვალისწინოს და მოემზადოს საზოგადო მოღვაწეობისათვის მომავალში. არა არს კაცი უცოდველ და არ არის ყოველდღიური გაზეთი, რომელსაც სწრაფ მუშაობაში და ფაცა-ფუცში შეცდომა არ მოუვიდეს, რომელიც ყოველდღიურ ახალ-ახალ ამბავსა და მოვლენას ჯეროვანის დაფიქრებით აფასებდეს და გულის თქმას, შთაბეჭდილებას არა ჰყვებოდეს და თვის აზრსა თუ მსჯავრს აჩქარებით არ ისროდეს. თუ ორი თვე საკმარისია ყოველდღიურ გაზეთისათვის, რომ თვისი პროგრამა შეიმუშაოს და მოიფიქროს, როგორ უნდა განახორციელოს პროგრამმა, მაშ ერთისა და ორის ნომრის შედგენას ხომ ერთი და ორი თავისუფალი დღეც ეყოფა. ამისათვის ყველა დარწმუნებული იყო, რომ პირველი ნომერი ამ გაზეთისა სამაგალითოდ იქმნებოდა შედგენილი, ჩ თითქმის ასეც არის. ხოლო „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციას ისეთი „უჩიკინები“ ახვევია, რომ ერთს დღესაც თავს ვერ შეიკავებენ და არ შეუძლიათ საერთო მწყობრ მელოდიაში თვისი წრიპინი არ გაურიონ დისსონანსად. ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი ლ. ყიფიანი ვითომ საახალწლო მილოცვას უძღვნის მკითხველთ და, სხვათა შორის, უგზავნის თავ. ა. ი. სუმბათაშვილს ღია წერილს:

თქვენმა «დადატმა ვერ უშველა პიესის მთარგმნელებსა და ქართველ არტისტებს და ვერ მოაშლევინა ინტრიგები, ამ მოღვაწეობაში ჩვეულებად გადაქცეული. იმერეთმა და ქართლმა კვალად თვისი მახვილი გადააჯვარედინეს და ორივე მხარე მედგრად იცავს ზეინაბის, რუქაიას და ოსმან-ბეგის სიტყვათა ხელოვნურად გადმოთარგმნისა».

სხვას რომ ეთქვა ეს სიტყვები, მართლა რომ საწყენი იქმნებოდა, მაგრამ ამ გაზეთის თანამშრომლებმა რაც უნდა იოინბაზონ, თუ არა გვატკინეს-რა, კვალად მშვიდობით „იმღერონ“ თავის პატრონების დასატკბობად. არა, ვსთქვათ, არტისტთა შორის მარად ინტრიგებია და უმეტესიც, აქ იმერელი და ქართლელი რა მოსატანია? ეს მახვილთა გადაჯვარედინება რაღა ვაგლახია? ნუ თუ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ჰგონია, რომ თავ. სუმბათაშვილის პიესა ან იმერულად სთარგმნა ვინმემ ან ქართლულად, რომელიც ყველა ქართველის დედა-ენა არის. ნუ თუ ამ გაზეთმა ვერ გაიგო, რომ არტისტთა შორის ლაპარაკია მხოლოდ იმის გამო, რომელი თარგმანი სჯობია? აქ არც მთარგმნელებსა და მით უმეტეს — იმერლებსა და ან ქართლელებს საქმეში სრულიად არა აქვთ-რა, მაგრამ რას იზამ, როდესაც მცირე და კერძო უთანხმოება საქვეყნო განხეთქილებად უნდათ აქციონ!

„ავი კაცი, აღდგომასაც ავიაო“.

—

იგივე „ნოვოე ობოზრენიე“ პირველსავე ნომერში მეორე მაგალითითაც ცხადად იჩენს თვის მიმართულებას. გაზ. „კავკაზ“-ში ვკითხულობთ:

ყარსის სამხედრო გუბერნატორმა აცნობა კავკასიის სამმართველო სამეურნეო საზოგადოებას, რომ არდაგნის ოლქისა და ფოცხოს განყოფილების, სოფ. ბადელის ერთს მცხოვრებს მიწა გაუთხრია და ორის არშინის სიღრმეზე ამოუღებია თიხის ქვევრი, 25 ვედრიანი, მოკირული და ჟამის ვითარებისაგან სრულიად გაქვავებული. ქვევრი თითქმის სავსეა წითელის ღვინით, რომელიც, ცხადია, უნდა იმ დრომიდგან დარჩენილიყოს, როდესაც ეს მიწა-წყალი საქართველოს სამფლობელოს შეადგენდა. რადგან ეს ძველი ღვინო, რამდენისამე საუკუნის განმავლობაში შენახული, მეცნიერთათვის საყურადღებო უნდა იყოს, ყარსის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, ორი ბოთლი ამ ღვინისა ქალაქის ლაბორატორიისათვის გამოუგზავნიათ გამოსაკვლევად.

ესევე ამბავი დაბეჭდილია „ნოვოე ობოზრენიე“-შიც, ხოლო გამოტოვებულია სიტყვები: «ცხადია იმ დროიდან უნდა დარჩენილიყოს, როდესაც ეს მიწა-წყალი საქართველოს სამფლობელოს შეადგენდა». რად, რა მოსაზრებით გამოუტოვებია ეს სიტყვები? ვინც ძმათა თუმანოვების მიმართულებას ჯეროვანის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს, იმათთვის მიზეზი ცხადია. სადაც-კი შეიძლება საქართველოს სახსენებელი აღმოიფხვრას, იქ ძმათა თუმანოვებს მითითება არ დასჭირდებათ...

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი.

ნინო ჩხეიძის საბენეფისოდ სამშაბათს 13 იანვარს ქართულ თეატრში წარმოადგინეს დრამა „მუშაკი და ნებიერი“ თარგმანი ვ. ყიფიანისა. ამ ნიჭიერ მსახიობ ქალის შესახებ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ იგი საჭირო ძალაა ჩვენის სცენისათვის, რომ მისი სერიოზული მოფიქრებული შეგნება მსახიობის მოვალეობისა, შრომა და სიყვარული საქმისა, რომელსაც იგი ემსახურება, მიზეზია, რომ სისტემატიურ სკოლას მოკლებული, იგი დღეს ჩინებულ მსახიობად გამხდარა და მასთან ერთად თავდებია იმისი, რომ მისი სცენიური ნიჭი, შრომისა და საქმის სიყვარულით შეიარაღებული, უფრო მეტად, უფრო შორს გაიკაფავს გზას ხელოვნების სამთავროში. ეგ მით უფრო სასიამოვნოა, რომ ჩვენში იშვიათი მოვლენაა, რომ ბუნებით დაყოლილ ნიჭს შესაფერის სიფრთხილით მოვეპყრათ, უდროვოთ არ ჩავკლათ და შრომით, მომზადებით გავავითაროთ და გავაძლიეროთ, უფრო ხშირად გვაკმაყოფილებს ადვილად მოპოვებული იაფ-ფასიანი ალტაცება და თანაგრძნობა საზოგადოებისა, მაზედ ვჩერდებით და ზურგს ვაქცევთ გონივრულს შრომას, მომზადებას, ურომლისოდ ნიჭი, მიწაში ჩაფლულ ტალანტის მსგავსად, ფუჭია და უმნიშვნელო.

ნ. ჩხეიძის სხვა ღირსებაა, ნაზი, და თუ ასე შეიძლება ითქვას, ფაქიზი გადმოცემაა იმ სულიერ მდგომარეობისა, რომელსაც მსახიობი აპიროვნებს; იგი თითქმის თვით გაიმსჭვალება ხოლმე იმ გრძნობით, რომელსაც ხატავს და ამიტომაც მისი მოქმედება მაყურებელზედ ძრიელია და თითქმის დამატყვევებელი. ღირსებაა აგრეთვე მსახიობის ნაზი ხმა და მკაფიო გამოთქმა სიტყვებისა. კლარა დე ბოლიეს როლი, რომელსაც თამაშობდა ნ. ჩხეიძე თავის ბენეფისში, სწორედ იმ ღირსებას თხოულობს მსახიობისაგან, რომლითაც მობენეფისე, როგორც ვთქვით, უხვად არის დაჯილდოვებული: ნაზი, წრფელი ბუნება კლარასი, მისი სულის-კვეთება, ტანჯვა შესაფერ გამომთქმელს პოულობდა ნ. ჩხეიძეში, რომელმაც სრული სურათი მოგვცა იმისი, რაც ხდებოდა საწყალ კლარას გულში. მეტადრე ძრიელი იყო შთაბეჭდილება, მსახიობქალის თამაშობით გამოწვეული, მესამესა და მეოთხე მოქმედებაში, როცა ნათლად სჩანდა ის აუტანელი ტანჯვა ქალისა, რომლის სიამაყე, შეურაცხყოფილი გრძნობა სიყვარულისა; გაულხვია ნამდვილს სიყვარულს და პატივისცემას პატიოსან კაცისადმი. მზად არის კიდეც გაუხსნას გული გამოსთხოვოს პატიება, მაგრამ არ ძალუძს-კი უთხრას ის, რასაც გრძნობს გული.

დანარჩენებიც მწყობრის თამაშობით ხელს უწყობდნენ ამხანაგის სადღესასწაულო წარმოდგენას და, რამდენადაც გრაფების, ბარონების, და ჰერცოგების გაპიროვნება ძალუძთ ჩვენ მსახიობთ, პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს, მრავალი ტაშის კვრა ხვდა წილად და საერთოდ ნათლად სჩნდა ის სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებისა, რომელიც ყმაწვილ მსახიობ-ქალს სამართლიანად დაუმსახურებია და რომელიც, ჩვენის აზრით, ყველა საჩუქარზედ მაღლა უნდა იდგეს საზოგადო მოღვაწის თვალში.

—

**გუდაუთი**. სამშაბათს, 6 იანვარს, სასტუმრო იმპერიალში გამართული იყო ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ ვ. გუნიასი და „არც აქეთ და არც იქით“ მისივე. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ხალხიც საკმარისად დაესწრო. მონაწილეობას იღებდნენ: ელენე ცინცაძე, ოლგა ბუაძე, ალექსანდრე ცინცაძე, ალექსანდრე ბუაძე, მოსე კვიტიშვილი, ძმები გიორგი და კალისტრატე ზენაიშვილები და სავედი იმედაძე.

რეჟისორობდა ივანე შარაშიძე, რომელმაც ბოლოს გიტარა დაუკრა და სასიამოვნოდ დაამღერა; შემოსული ფული ზოგი გადასცა გუდაუთის სამკითხველოს და ზოგიც ლანჩხუთის სამინისტრო სკოლას გაეგზავნა ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

პ. ქავჭანიძე.

—

**ბაქო**. 11 იანვარს სადგურ ბაქოს დეპოში მსახიობ ქ-ნ ანდრონიკაშვილისა, ბ-ნ ქორიძისა და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით გაიმართა ქართული წარმოდგენა.

ითამაშეს «გაცრუებული იმედი», 2 მოქმ. კომედია აზიანისა და «ადვოკატთან»—ვოდევილი გუნიასი.

ერთიცა და მეორეც მრავალჯერ უთამაშნიათ ჩვენ ქალაქ-დაბა-სოფლებში; არა ერთი და ორი სიტყვა დაწერილა ჩვენ გაზეთებში მათი დედა აზრის, შინაარსის შესახებ, ამისათვის ამ საგანზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას და შეძლებისადაგვარად გავარჩევთ, თუ როგორ შეასრულეს თავიანთი როლი ამა, თუ იმ მოთამაშემ.

დავიწყოთ „გაცრუებული იმედიდამ“: სტეფანე ზარალოვს თამაშობდა ბ-ნი ო. შველიძე. ეს ახალგაზდა ყმაწვილი მრავალ ჯერ მინახავს ქუთაისის სცენაზე და მისი თამაშობა საზოგადოებას მრავალი „ვაშა-ბისის“ ძახილით დაუჯილდოვებია ხოლმე, ამითვე მიეგება ბაქოს დეპოში დამსწრე საზოგადოებაც მის საუცხოვო თამაშს.

განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავი იყო იგი, როდესაც ვანოს ეუბნება: „მა როგორ გინდა იცხოვრო, როგორ გინდა გაიჩინო კარგი პრაქტიკა, თუ დიდ პირებს არ გაუკეთებ ვიზიტებს და თვალში არ ჩაუვარდები?.. დოხტური უნდა ლოვკი იყვეს!.. არა, შვილო, პავლოვცკისთან უნდა წაგიყვანო და გაგშინჯო ზეით ეტაჟში ხომ არა გაკლია რა!..“ როდესაც გაბოს (ბ-ნი ქორიძე) ეკითხება: „слишь პუშკინიჩი ჯობდა, თუ ტოლსტოვიჩი? **скажи мене пожалуйста** ვინ უფრო „უმნი“ და „რაზვიტოია“ ლერმონტოვიჩი თუ შექსპიროვიჩი?..“ მის თამაშს ხელს უწყობდა კარგი გრიმი და როლის ცოდნა.

სტეფანეს ცოლის — ნინოს — როლს ას-

---

პირველ მოსმენისათანავე, ეს ყველაზედ კარგად სჩანს გაზეთების ცნობათაგან სლავიანსკის კონცერტების შესახებ. მისი სასულიერო კონცერტების გამო „ნიუ იორკ დაილუ ტშე“ სწერდა: რუსული მუსიკა უფრო მშვენიერია, ვიდრე ორიგინალური. რუსული ლოცვა ბარტნიანსკისა საუცხოვო რამეა და მთელი ხოროც დიდის გრძნობით გალობდა. მოგვყავს შეხედულებანი ამერიკელ კრიტიკოსთა რუსულ სახალხო სიმღერათა მომხიბლველ ძლიერებისა და დიდ-ბუნებოვანობის შესახებ. ნიუ-იორკელი „ჰერალდ“ სწერდა: „აგრენიევმა—სლავიანსკიმ საუცხოვო ხმით გამოიწვია მთელი ზღვა აღტაცებისა... თუმცა ყველაფერი შესრულებული იყო უცხო ენაზედ, მაგრამ რუსულ ნაციონალურ სიმღერებს ეტყობა მუსიკალური ძლიერებაო“.

„ეს საგალობლები მდიდარია საუცხოვო ჰანგებით, განსაკუთრებით-კი—მელანხოლიურ, ანუ სანტიმენტალურ (გრძნობიერ) იერით, რომელიც მსმენელზე მომხიბლველ შთაბეჭდილებას ახდენსო“, სწერდენ ნიუ-იორკის გაზეთ «სტატს ცაიტუნგ»-ში მეორე გაზეთში «ტშე შარტფორა დაილუ ტიმეს“-ში სწერდენ: „სიმშვენიერე სახორო მუსიკისა, დიადი გრძნობა და სილამაზე რუსულ სახალხო სიმღერათა ჰარმონიისა, რომელიც გადმოგვცემს ხალ[illegible] სულიერს ცხოვრებას,—ყველა ეს ჩვენ [illegible]იშნეთ დღეს. ღირს-შესანიშნავია ეს [illegible]რტები როგორც ცხადი ნიშანი ხალ[illegible]ტურისაო. «გაზ. „ტშე ცუნ“-ი [illegible] ეხება რუსულ მუსიკის ხასიათს [illegible]ტებს: „რუსული კონცერტები სა[illegible]ესოა მეცნიერულის მხრით; ორის [illegible]თის განმავლობაში ამ კონცერტების [illegible]ხედვით უფრო სწორე შეხედულებას შეადგენს კაცი რუს-ამხანაგების დიდებულ რასის-სლავიანთა ტანთსაცმელსა, ჩვეულებასა და ნაციონალურ ზნე-ჩვეულების შესახებ, ვიდრე მთელი კვირაობით რომ დაიწყოს ამ ცნობათა სწავლა წიგნებითაო». ასეთი შეხედულება ჰქონდა ამერიკის პრესას სლავიანსკის კონცერტებზე; ამნაირად ასახელა რუსის ხალხი ამერიკაში სახალხო სიმღერამ. დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მგზავრობას სლავიანსკისას იმიერ ატლანტიკის ამერიკელებთან დიდი კულტურული ნაყოფი ჰქონდა მთელი რუსეთის სახელმწიფოსთვისაც.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, სლავიანსკიმ ხელახლა გამართა კონცერტი რუსეთში და მის შესახებ ხმა ამოიღეს გაზეთებმაც. იმას აღარ ამბობდნენ—გამოუსადეგარია სახალხო სიმღერებიო, აღარ ამობდნენ, ის საჭიროა მარტო სასტუმროებსა და დიდს სალონებშიო. ახლა ყურადღება მიაქციეს მის ღრმა გრძნობას, იმ მწარე სიმართლეს, რომელსაც იგი გადმოგვცემს. აღიარეს იგი ხალხის ცხოვრების სერიოზულ ზნეობრივ ფაქტორად. რომელიც წინად ყურადღებას არ აქცევდა, ახლა დაიწყო ლაპარაკი, ვისაც წინად ეჯავრებოდა, ეხლა მას უყვარს და ეინტერესება და სწორედ ამაში მდგომარეობს კულტურულ-ისტორიული ღვაწლი სლავიანსკისა.

სლავიანსკის გამარჯვების შემდეგ, რუსულ მუსიკის წარმომადგენელნიც რწმუნდებიან, რომ საჭიროა ხელოვნებაში შეტანილ იქმნეს სახალხო ელემენტი, როგორც კულტურული დასაწყისი, რწმუნდებიან, რომ უამელემენტოდ მუსიკა აღარ არის გამომხატველი ნაციონალურ გრძნობისა.

გასაოცარია რიცხვი იმ დაბა-ქალაქებისა, სადაც აგრიენევ-სლავიანსკის მოუხდა კონცერტების გამართვა. არა ნაკლებ გასაკვირველია ის გარემოება, როგორშიაც ჰმართავდა კონცერტებს სლავიანსკი. დღეს ის მღერის ბრწყინვალე სატახტო ქალაქის სალონებში, ხვალ იწვევენ ქარხანაში, ან ფაბრიკაში. სლავიანსკის უხდებოდა მღერა ხოროთი იმისთანა ადგილებშიც, სადაც თავისს დღეში არტისტი არ ყოფილა. სლავიანსკის იწვევდნენ სულით ავადმყოფთა სამკურნალოსა და საპყრობილეებშიაც-კი; მაგალითად, კიევში წირვაზე სლავიანსკიმ იგალობა სატუსაღოს ეკკლესიაში. საუცხოვო ხმები ჰარმონიულ, მწყობრის გალობისა ღრმად ჩასწვდა გულში დროებით საზოგადოებისაგან ჩამოცილებულ პირთ—ტუსაღებს. „ბევრს სახეზე,—ამბობდა კიეველი კორესპონდენტი,—ჩამოსდიოდა ცრემლი სიხარულისა. ტუსაღებმა წირვის შემდეგ დაბლა დაუკრეს სლავიანსკის თავი და უთხრეს: „გმადლობთ, მამაო, რომ ჩვენც საწყალნი არ დაგვივიწყეო“.

რასაკვირველია, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სლავიანსკი არ არჩევდა არც ხალხს და არც ადგილს კონცერტების გამართვისათვის. ბეჭდვითი სიტყვამაც-კი აღნიშნა, სლავიანსკი არ არჩევს ადგილს კონცერტებისათვის და იქ ჰმართავს, სადაც დაბალი წოდებაც გროვდებაო. ასეთი აზრი შედეგი იყო იმ იდეის გაუგებრობისა, რომელიც შეადგენდა ქვა-კუთხედს სლავიანსკის მოღვაწეობისას.

ამის გამო სლავიანსკიმ ფრიად საყურადღებო წერილი დასტამბა ერთ-ერთ გაზეთში. ამ წერილში ამბობს: „მას აქეთ, რაც სახელი „სახალხო მომღერალისა, მოვიხვეჭე არა მარტო ჩემს სამშობლოში, არამედ მთელს ევროპასა და ამერიკაში, სადაც მე კონცერტები გავმართე, მოვალედ მხდიდნენ და მხდიან კიდეც. რომ ვიმღერო არა მარტო დიდს სასახლეებში, უფლებით აღჭურვილს საზოგადოებისთვის, არამედ საზოგადოების იმ ნაწილისათვისაც, საიდანაც ავიღე და შევისწავლე სახალხო სიმღერები და სხვ.“ ბოლოს უმატებს „მე მხოლოდ ამ შემთხვევაში შემიძლიან შევინარჩუნო სახელი სახალხო მომღერალისა, რომელიც მე სასიქადულოთ მიმაჩნიაო“.

1872 წელს, როდესაც კონცერტებს ჰმართავდა რუსეთში სლავიანსკი, მიწვეულ იქმნა ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის მიერ, სადაც დაესწრნენ უმაღლესნი გვამნი. ხელმწიფას მიერ მიწვევის შემდეგ უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს სახალხო სიმღერებს და ეს ყურადღება დღითი დღე იზრდებოდა.

ჩვენ, ქართველები, ძალიან ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს სახალხო სიმღერებს, ამ დაუშრეტელ წყაროს ნაციონალურ პოეზიისას; არ არის აღზრდილი და შეჩვეული მასთან მუსიკალური სმენა ჩვენის ინტელიგენციისა, რომელიც ამის გამო სცდება და ირყევა უნიადაგოდ... მას არ სწამს მნიშვნელობა სახალხო სიმღერისა და აკი იმიტომაც იგი ხელის ფათურით სიბნელეში დაიარება; თავისი და სხვისა ვერ გაურჩევია; ზოგს შემთხვევაში უცხო ჰანგს ისე შესისხლ-ხორცებია რომ მისი შერყევა სახიფათოც კია; ამის მაგალითად კმარა დღითი-დღე ისეთის ჰანგების გავრცელება, როგორიც არის „სულიკო“. „ერთხელ ვიხილე“, „წყალსა ნაფოტი მოჰქონდა“ და „საიდუმლო ბარათი“.

სახალხო ლექსი ნათლით მოსილი წყაროა, საიდანაც მასალას იღებდნენ მუსიკის გენიოსნი ყველა დროისა და ყველა ხალხისა; ამიტომ დიდს ამაგს დასდებს ხელოვნებას ყველა ის, ვინც გამოგვიხატავს და წარმოგვიდგენს ჩვენის ხალხის ზნე-ჩვეულებას მუსიკის თუ ლიტერატურის თხზულებაში.

სახალხო სიმღერა უმთავრესი ცოცხალი ელემენტია ხალხის ზნე-ჩვეულებისა, ერთ უძვირფასეს განძთაგანია და ძეგლია ხალხის სულიერ ცხოვრებისა, რომელიც გადმოგვცემს ხალხის ხასიათს, ჩვეულებას და ზნეს ნამდვილის, შეუმწიკვლელის სახით; როგორც მაჩვენებელი შინაგანის განათლებისა, სიმღერა რომელიმე ხალხისა არის ძეგლი, რომელიც მიგვითითებს განვლილ მწუხარებაზედ და გვიქადის ახალ იმედებს; ვინც ყურს უგდებს სახალხო სიმღერას გულის-ყურით, უსათუოდ აგონ[illegible]ბა რაღაც მონათესავე გულის მახლო[illegible] რამ და თვალწინ უდგება სიყმაწვილის დღეები, და პირველი ნანინა საყვარელ აღმზრდელისა, რომელნიც აღვიძებენ შორეულ წარსულს, რომელმაც ჩაუნერგა ძმობა, სიყვარული და ერთობა თავის პირმშოს ტკბილი „ნანინას“ ჰანგით.

გამოვტყდები, რომ სიმშვენიერე სახალხო სიმღერისა შევიგნე მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვისმინე მის პირისაგან, ვინც შეთხზა, შეჰქმნა. გავიგონე მშობლიური სიმღერა და მან თითქოს გაარღვია ის კედელი, განაბნია ის ბინდით მოცული იერი რომელიც ჩემგან, ქართველისაგან, ჰფარავდა ქართულს სულს და ხასიათს; გაიბრწყინა ნათელმა სხივმა უცხო, შავ ღრუბლით მოცულ ჩემს არსებაში, რომელსაც თავისი სხვისაგან ვერ გაერჩია. უფრო შორს წავალ და ვიტყვი თამამად, რომ სახალხო იდეა თავის განსავითარებლად მტკიცე დასაყრდნობელს ნიადაგს იპოვის სახალხო სიმღერებით, აღზრდილ გრძნობაში. გახდება-რა დამამშვენებლად საზოგადოების ეთიკურ მხარისა, მოიპოვებს რა პოლიტიკურ მნიშვნელობას, მშობლიური სიმღერა შესამჩნევად შეუწყობს ხელს ხალხის გემოვნებისა და სამხატვრო გრძნობიერების განვითარებას და მასთანვე ნაციონალურ-პატრიოტულ მისწრაფების წინმსვლელობასაც. ეს არის ჩვენი აზრი, ეს არის ჩვენი რწმენა.

ი. კარგარეთელი.

(შემდეგი იქნება)

რულებდა ქალბატონი ანდრონიკაშვილ-კახიძისა, რომელსაც არა ერთი და ორი ქართველი მოუყვანია ალტაცებაში თავის თამაშით და რაღა თქმა უნდა, რომ დღე-საც საუცხოვოდ ითამაშებდა. გადავიდეთ ახლა გაბოზე. მას ბ-ნი ქორიძე თამაშობდა. მართალია, მას ბევრი არაფერი აქვს ამ პიესაში სათქმელი, მაგრამ რაცა აქვს, ისე კარგად, ისე მოხდენილად სთქვა ყოველისფერი, რომ საზოგადოება ალტაცებაში მოვიდა...

ცოტა არ იყოს ვანო (ბ-ნი ალავიძე) კოჭლობდა, მაგრამ... რა გაეწყობა...

ძალიან კარგად ითამაშეს აგრეთვე გიგომ (ბ-ნი დ. შველიძე), ლიზამ (ქ-ნი შველიძისა), სონამ (ქ ნი სალარიძისა), გლეხმა კაცმა (ბ-ნი სალარიძე) და ბიჭმა (ბ-ნი ჯოხაძე)...

შემდეგ ითამაშეს „ადვოკატთან“, ამ ვოდევილში ისე მშვენივრად ითამაშა ქ-ნმა ანდრონიკაშვილ-კახიძისამ, შველიძისამ და ბ-ნმა შველიძეებმა, რომ დამსწრეთა ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა...

ბოლოს დაიწყო დივერტისმენტი: წაიკითხეს ქართულად და რუსულად ლექსები, ლექსებს მოჰყვა ცეკვა.

დევნო გატენილი იყო ხალხით, ხალხში ბევრი რუსებიც იყვნენ. ყველანი დიდი ნასიამოვნები დარჩნენ.

პეტრე

P. S. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი დ. თედეშვილი, რომელიც ორგანიზატორია ამ წარმოდგენებსა და საზოგადოდ დიდ დახმარებას უწევს ქართულ წარმოდგენებს ბაქოში.

პეტრე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 იანვარი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით მობძანდენ საცხოვრებლად პეტერბურგში. – უმაღლესის ბრძანებით უფროსი საქართველოში სომეხ-გრიგორიანთ ეპარქიისა, არქიეპისკოპოზი კევორკ სურენიანცი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

**ლოდზი.** შინაგან საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე გუბერნატორ კორფის მოკვლის განძრახვის გამო ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ხელით ინება წარწერა: „გულით ვულოცავ გუბერნატორს გადარჩენას“.

**პარიჟი.** საფრანგეთის მთავრობამ თვისი რწმუნებული კაცი გაგზავნა რომში და მიანდო, არა ოფიციალურად შეიტყოს ვატიკანის აზრი კონკორდატის გადასინჯვის გამო, რათა საფრანგეთის მთავრობამ მოიპოვოს უფლება თავისთავად დანიშნოს ხოლმე ყველა სასულიერონი პირნი მღვდლიდან მოკიდებული ეპისკოპოსამდე.

**პეტერბურგი.** ჩესვიკის ახლო, მადნებში, გუშინ აფეთქების გამო, მიწამ დაიტანა 184 მუშა. მუშათა გადარჩენის იმედი არ არის.

**ტოკიო.** ახალი კაბინეტი კორეისა მეგობრულ განწყობილებაშია იაპონიასთან.

14 იანვარი

**ტოკიო.** აქაური ფინანსისტები დიდს შემწეობას უპირებენ მთავრობასა. ეხლა ცხადია, რომ მთავრობას ღონე მიეცემა დიდძალი ფული იშოვოს თავისსავე ქვეყანაში და არ მიმართოს გარეშე სესხსა.

**ნიუ-იორკი.** ნაფიც მსაჯულთ, რომელთაც ჰქონდათ მინდობილი გამოეძიათ ჩიკაგოში თეატრის დაწვის საქმე, პასუხის გებაში მისცეს თეატრის პატრონი, ბევრნი მოსამსახურენი და ქალაქის მოხელენი და მათ რიცხვში ლორდ-მერიც. ამათ ბრალდებათ მკვლელობაში ხელის მონაწილეობა.

**ტოკიო.** 13 იანვარს ძალიან საჭირო კრება იყო კაბინეტისა, რომლის შემდეგ მხცოვანი სახელმწიფო მოღვაწენი სამი საათი თათბირობდნენ.

**ვენა.** იმპერატორმა გამოსცა ედიქტი, მოიპოვონ საშუალება ჯარის მოსაწყობად და ღვინოზე და თამბაქოზე ბაჟის დასადებად. ედიქტში ნაბრძანებია, შემცირდეს საიმპერატორო სასახლის ხარჯები და სხვა მომჭირნეობაც გასწიონ.

**ვაშინგტონი.** რუსეთის ელჩმა განაცხადა, იმას ჯერ იმედი აქვს, რომ შორეულს აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დაცულ იქმნება. კორეის ელჩმა, როდესაც იყო სახელმწიფო დეპარტემენტში, მწუხარება გამოაცხადა სეულში მომხდარ ამბების გამო, განაცხადა, რომ ამერიკის ინტერესები დაცულ იქმნება და ამასთანავე გადასცა ახლი კორეის მთავრობის დეკლარაციისა, რომელშიაც მოხსენებულია, კორეა რუს-იაპონელთა უთანხმოებაში დაიცავს ნეიტრალიტეტს.

**პეკინი.** ჩინეთის მთავრობამ მიმართა ზოგიერთ გარეშე სახელმწიფოთა ელჩებს თხოვნით, რომ მათის შემწეობით როგორმე მოხდეს დაზავება რუსეთ-იაპონიას შორის. ჩინეთის მთავრობა გულმოდგინედ ცდილობს ომის აცილებასა.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით) ბულგარეთის მთავრობამ თავდაჭერილი პასუხი მისცა ოსმალეთს ბრალდებაზე და ამის შემდეგ იმედი აქვთ, მათ შორის განწყობილება გაუკეთესდეს. ტყუილია ის ხმები, ვითომ გაჩქარებული მზადება იყოს საომრად.—მთავრობას შეაქვს კანონ-პროექტი მთავრის ხელშეუხებლობის შესახებ. კანონ პროექტში აღნიშნულია სასტიკი სასჯელი და მსწრაფლი საქმის წარმოება.

**ტურინი.** უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში ღამით დიდი ცეცხლი გაჩნდა. ხუთი დარბაზი დაიწვა.

14 იანვარი.

**ლონდონი.** იაპონიის მისსია იუწყება, არაფერი ვიცით რუსეთის პასუხისაო. იაპონიის უკანასკნელ ნოტის შემდეგ რუსეთისა და იაპონიის მთავრობას აღარავითარი ცნობა აღარა გაუგზავნიათ რა ერთმანეთისათვისაო. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის ნოტა ტელეგრაფით გადაეცემა პეტერბურგიდან ტოკიოში მყოფს ელჩს, რომელიც ჩააბარებს იაპონიის მთავრობას.

**ტოკიო.** პეტერბურგში მყოფი იაპონიის ელჩი დეპეშით იუწყება 13 იანვრის თარიღით, რომ რუსეთს განზრახვა აქვს კიდევ რამდენიმე დღით დააგვიანოს პასუხიო. ამის გამო გარეშე საქმეთა მინისტრმა დაუყოვნებლივ მოუწოდა სამინისტროს უმაღლეს მოხელეებს და ხანგრძლივი ბჭობა ჰქონდა იმათთან.

**ტიან-ძინი.** რაკი რუსეთის ჯარები კოუბანძეს არიან, იუნშიკაის მხედრობა მოაშორეს რკინის გზის რაიონს. ამ სახით მაგ რაიონს იცავს მხოლოდ რაზმი თათრის გენერლისა, რომელიც რუსეთ ს გავლენას ექვემდებარება.

**ბრლინი.** 13 იანვარს საღამოთი მობრძანდა მეფე ბელგიისა. იმპერატორი ვილჰელმი ვოგზალზედ მიეგება.

**რომი.** გაზეთები იუწყებიან, რომ რომის ბიბლიოთეკაში ცეცხლის გაჩენის მიზეზით დაიწვა ასი ათას წიგნამდე და ფრიად ძვირფასი ხელ-ნაწერები არაბული, კოპტური, ოსმალური და ლათინური.

**ბრინდიზი.** გენერალი ჯიორჯისი 13 იანვარს გაემართა სტამბოლს.

**პორტ-არტური.** (დაგვიანებულია) ტიანძინში დაიწვა ახალი შენობა რუსეთ-ჩინეთის ბანკისა.

**პეტერბურგი.** 14 იანვარს ბრძანდებოდნენ პეტრე-პავლეს ტაძარში ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული.—ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა დაათვალიერა პავლეს ინსტიტუტი.—14 იანვარს, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს საზამთო სასახლეში მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით იყო გამართული საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ გერმანიის ელჩი და წევრნი საელჩოსი.

**პეტერბურგი.** უცხოეთის გაზეთების კორესპონდენციების მიერ გავრცელებულნი ამბავ-ცნობანი ისეთის ტენდენციით არის გამსჭვალული, რომ კაცს ეგონება განზრახ შეთხზულია ხალხის ასაღელვებლად შორეულ აღმოსავლეთსა და სხვა ქვეყნებშიაო, ამ ამბავსა და ცნობას სრულის უნდობლობით უნდა ვეკიდებოდეთ. მით უმეტეს, რომ ხშირად სთხზავენ მაგ ამბავ-ცნობათ ისეთნი კაცნი, რომელნიც დარბაისელ გაზეთების კორესპონდენტებადაც-კი არ ითვლებიან. ამისთანა მოპორების ცხადი მაგალითია ამერიკის გაზეთების მიერ დაბეჭდილი ამბავი გაზ. «დეილი-მალი»-ის კორესპონდენტის ლაპარაკისა მეფის მოადგილესთან მყოფ პლასანთან. ვამოწმებთ და ვარწმუნებთ ყველას, რომ ინგლისელ ჟურნალისტის ცნობა მტკნარი ჭორია, თვით ისიც, ვინც ამბობს კორესპონდენტი ვარო, ნამდვილად კორესპონდენტად არ იმყოფება.

15 იანვარი.

**ბერლინი.** დეპეშა იუწყება სვაკოგმუნდიდან, ციულოვის რაზმს მხოლოდ ორ კვირამდე შეუძლიან ოკოგონდთან იასძლოს. მეცადინეობამ, რომ კარიბიბთან მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ, უქმად ჩაუარა, რადგანაც რკინის გზა აანგრიეს; ექვსი კაცია მოკლული, 70 უგეშოდ დაიკარგნენ.

**კოლომბო.** 14 იანვარს იაპონიის სამხედრო გემები „ნისსინი“ და „ნასუგა“ მოვიდნენ.

**ბერნი.** საკავშირო საბჭომ დაადგინა ჟენევაში მოიწვიოს ხალხთა შორისი კონფერენცია, რომ გადასინჯონ ჟენევის კონვენცია იმის შესახებ, თუ როგორ გაუმჯობესონ დაჭრილ ჯარის კაცთა მდგომარეობა ომის დროს.

**პარიჟი.** პარიჟ-სა და რეიმსის არქიეპისკოპოსებმა გაუგზავნეს რესპუბლიკის პრეზიდენტს წერილობითი განცხადება და პროტესტი გამოაცხადეს იმ კანონპროექტის გამო, რომელიც დეპუტატთა პალატას წარუდგინა და რომლის თანახმად ასე გასინჯე იმ სკოლებსაც ერთმევათ უფლება სწავლისა, რომელთაც მთავრობისაგან ნება ჰქონდათ დართული. განცხადებაში გამოთქმულია, რომ ეს კანონი მთლად შეარყევს სარწმუნოებას და ამას საფრანგეთის დაღუპვა მოჰყვებაო. ის ცნობა, ვითომ საფრანგეთის მთავრობამ რწმუნებული კაცი გაგზავნა რომში მოსალაპარაკებლად კონკორდატის გადაშინჯვის გამო, გაზეთების მოგონილიაო.

**ქრისტიანია.** იმპერატორს ვილჰელმს ებოძება პირველი ახალი ნორვეგიის ორდენი „ნორვეგიის ლომი“.

**სტამბოლი.** საექსარხოსო აცხადებს, რომ რაც ოხრიდის მიტროპოლიტს ბრალი დასდეს, სულ მიკერძვით შედგენილ ცნობაზეა დამყარებული და მოჭორილ-შეთხზულიაო. – რუსეთის იმ ოფიცერთა რიცხვი, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს, მაკედონიას სამს ვილაიეტში ჟანდარმებათ ვიმსახურებთო, 50-ზედ მეტია. ამათშიაცა და სხვა დიდ სახელმწიფოთა ქვეშევრდომ მსურველთა შორისაც მხოლოდ მცირე რიცხვს ირჩევენ.

**პეტერბურგი.** ნიკოლოოზის საგენერალო შტაბის აკადემიამ გამოაცხადა მეექვსედ პრემია გენ.-ლეიტ. ლერის სახელისა. სულ პრემია სამია: ერთი ასი თუმანი და ორი—ორმოცდათი თუმანი- თხზულება სამხედრო შინაარსისა უნდა იყოს და წარდგენილ იქმნას ამ წლის გასვლამდე.

**სოფია.** (ოპოზიციის მომხრეთაგან). საერო კრებაზედ დიდი კამათი ასტყდა, როცა შეუდგნენ იმ კანონის განხილვას, რომელიც შეეხება მწერლობის დანაშაულს მთავრისა და მის სახლობის წინააღმდეგ. მთავრობა ამტკიცებს, რომ ამ კანონის შემოღება საჭიროა, რადგან რამდენიმე ახალი გაზეთი დაარსდა დინასტიის საწინააღმდეგო აზრითაო.

**ბერლინი.** იმპერატორის დაბადების დღესასწაულის დღეს ბალლესტრემმა აცნობა რეიხსტაგს შედეგი აუდენციისა მის უდიდებულესობასთან: როდესაც ბალლესტრემმა აღნიშნა, რომ თუმცა იმპერატორი ავად იყო, მაინც ოპერაციის წინად ნახა ხელმწიფე იმპერატორი, მაშინ იმპერატორმა უპასუხა: „თუ ავადმყოფობა საშიშარი ყოფილიყო, მე, რასაკვირველია, ვეცდებოდი, ჩემის ძისთვის კეთილი მეზობლური განწყობილება მეზრუნა“.

**შესწორება.** გუშინდელ დილის დეპეშაში ასე უნდა ყოფილიყო: „რომი. გაზეთები იუწყებიან ტურინიდან, რომ ცეცხლის გაჩენის დროს“ და სხ.

### პეტერბურგის ბირჟა

9 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94, |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅜ გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 421¾ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 334 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 280 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 90⅓ |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 90¾ გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (მოსკოვს მიმავალი, მხოლოდ სამ-ღაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 58 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან

შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა საბჭო ქუთაისის გუბერნიაში ამით აცხადებს, რომ 20 იანვარს 1904 წელს, დილის 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქუთაისს იქნება ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა შეკეთება ჭიათურ-ჭალების გზისა ჭიათურის სამრეწველო რაიონში. უნდა გაკეთებულ იქმნას 1. ხიდი შუქრუთ-ჭალების და იხთვისის გზაზედ ასასვლელად და 2. ღარი რკინის-გზის ხიდ ქვეშ იხთვისის მიმდინარეობის მოსაწესრიგებლად. სულ ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია ამ საქმისათვის 16.018 მან. 51 კ.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ საბჭოს კასაში ვაჭრობის დაწყებამდე 800 მ. ნაღდი ფული ან ფასიანი მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები.

ვაჭრობის შედეგი უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოს მიერ. 3—5—2

ქუთაისში ს. ბ. თოფურიას სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სნებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ფული

ადვილად და პატიოსნურად იშოვით თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an des Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—49)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული საქართველოს

კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ვ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული შემდეგი განყოფილებანი: 1. საეკლესიო კალენდარი, 2. ცა და დედამიწა ასტრონომიულ-გეოგრაფიული ცნობები. 3. სახელმწიფოთა მიმოხილვა, 4. კავკასია და საქართველო, 5. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა, გემების მიმოსვლა, 6. იურიდიული ცნობები, 7. წონა, ზომა, საწყაო და სხ., 8. სამკურნალო და სამეურნეო ცნობები, 9. სალიტერატურო განყოფილება, 10. ვრცელი საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X ისა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, ზ. ჭიჭინაძისა, ვ) ენა და ერი, ზ. სურგულაძისა და სხვ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით. კალენდარი შეიცავს 500-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1904 ГОДЪ

на ежедневную политическую и литературную газету

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(XXI-й годъ изданія)

ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ БУДЕТЪ ВОЗОБНОВЛЕНО СЪ 15-го ЯНВАРЯ 1904 г.

Подписчики нынѣшняго года, какъ городскіе, такъ и иногородные, желающіе подписаться на будущій годъ, вносятъ 6 руб. за годъ и 3 руб. за полгода. Новые же подписчики на обычныхъ основаніяхъ вносятъ 7 руб. за годъ и 4 руб. за полгода.

Допускается разсрочка платежа. при подпискѣ—4 р., къ 1-му іюня—3 р.

для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Лицъ, желающихъ подписаться, контора проситъ увѣдомить ее о томъ и внести плату заблаговременно, чтобъ успѣть заготовить адреса.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты. Барятинская ул. д. № 8.

Редакторы Г. и В. Тумановы. Издатель К. Тумановъ.

Печатается и въ среднихъ числахъ января поступитъ въ продажу составленная редакціею „Нов. Об.“ книга:

## Къ 20-лѣтію изданія „Новаго Обозрѣнія“

цѣна съ пересылкой—30 коп.

Годовые городскіе и иногородные подписчики „Нов. Об.“ получаютъ эту книгу безплатно.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1904 годъ

на ежемѣсячный иллюстрированный научно-практическій журналъ

## „Виноградарство и винодѣліе“

ИЗДАВАЕМЫЙ

Комитетами Виноградарства Императорскихъ Московскаго и Южно-Русскаго Обществъ Сельскаго Хозяйства.

Журналъ будетъ издаваться въ г. Кишиневѣ, безъ предварительной цензуры, книжками въ размѣрѣ отъ 4 до 5 печатныхъ листовъ при постоянномъ участіи лучшихъ русскихъ спеціалистовъ.

Подписная цѣна въ годъ съ доставкой и пересылкой 5 рублей.

Подписка принимается въ Редакціи журнала.

Кишиневъ, Училище Винодѣлія.

Редакторъ М. О Щербаковъ.

(3—2)


Дозволено цензурою, тифлисъ 15 января 1904 г. Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით რედაქტორი ბრ. ჯიშიაშვილი, გამომცემელი საზოგადოება.